

2020 წლის 30 მარტის №204 დადგენილებით დანესებული შეზღუდვები

ახალი კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებით, საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. პრეზიდენტის დეკრეტით მთავრობას მიეცა უფლება, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზოგიერთი უფლება. 2020 წლის 30 მარტის №204 დადგენილებით დანესდა დამატებითი რეგულაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

1. რომელი საქმიანობები შეჩერდა საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში?

საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება ყველა ეკონომიკური საქმიანობა, გარდა:

- სამედიცინო დანესებულების საქმიანობისა;
- სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაციისა, ასევე მათი წარმოების, შენახვის, საბითუმო ვაჭრობისა და დისტრიბუციის, სურსათის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოებისა;
- წისქვილების, პურ-ფუნთუშეულის საცხოვების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობისა;
- ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოებისა/გადაცემისა/განაწილებისა/მიწოდებისა, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდებისა, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებისა;
- კომერციული ბანკების საქმიანობისა;

Closer to you

- იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობისა, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით;
- საგადახდო სისტემის ოპერატორების საქმიანობისა;
- ბანკომატების, თვითმომსახურების კიოსკებისა და პოსტერმინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობისა;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისა;
- საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდებისა/რეალიზაციისა;
- სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოებისა/დისტრიბუციისა/რეალიზაციისა;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასა და მეცხოველეობასთან/მეთრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობისა;
- მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურებისა;
- საკვები პროდუქტის, სურსათისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის/ფარმაცევტული პროდუქტის მიტანის მომსახურებისა (ე.წ. „დელივერი სერვისი“);
- კერძო დაცვითი საქმიანობისა;
- საადვოკატო საქმიანობისა;
- ავტოტექნომომსახურების გამწვევი სუბიექტების საქმიანობისა;
- პრესის ჯიხურებისა;
- ნავთობის და გაზის მოპოვებისა, გადამუშავებისა;
- ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობისა, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად მხოლოდ სახლიდან (სახლიდან გაუსვლელად);
- საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, დამატებით განსაზღვროს იმ ეკონომიკური საქმიანობების ან/და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების/მენარმე სუბიექტების ჩამონათვალი, რომლებიც არ იზღუდება და რომელთა ფუნქციონირებაც აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

Closer to you

საქართველოს 2020 წლის 01 აპრილის №211 დადგენილებით განისაზღვრა ეკონომიკური საქმიანობები, რომლებიც არ იზღუდება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. მაგალითად, ასეთ საქმიანობებს განეკუთვნება სამაცხვრე მეურნეობები, საბაჟო სანყოფნები, ცხოველთა სასაკლაოები, სურსათისა და ცხოველთა საკვების ლაბორატორიები, სადემინფექციო მომსახურების ცენტრები, სასათბურე მეურნეობები, საირიგაციო/სამელიორაციო სისტემების მშენებლობა (სრული სია იხილეთ თანდართულ ფაილში).

საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება ღვინისა და ყურძნისეული წარმოების სხვა ალკოჰოლიანი სასმლის, აგრეთვე სპირტიანი სასმლისა და ლუდის სარეალიზაციო ობიექტების ფუნქციონირება.

საგანგებო მდგომარეობის ვადით რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საწარმოებში/ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ ადგილზე მიტანის ან პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებით გატანის (ე. წ. „დრაივის“) მომსახურებით სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის დაშვების გარეშე.

შენიშვნა: დაშვებული ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დისტანციური მუშაობა გულისხმობს სახლიდან მუშაობას, ხოლო კრიტიკულად აუცილებელ შემთხვევებში, ასევე სამუშაო ადგილიდან („სამსახურიდან, ოფისიდან“, მაგრამ არა უმეტეს 5 ადამიანისა). დამატებით, 2020 წლის 01 აპრილის საქართველოს მთავრობის №209 დადგენილებით დამტკიცდა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი 70-მდე მენარმე სუბიექტების ჩამონათვალი, რომელთაც არ ეზღუდებათ ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

Closer to you

2. რა შეზღუდვები დაწესდა საზოგადოებრივი თავშეყრის კუთხით?

სრულად იკრძალება ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის მეტროთი) გადაადგილება როგორც ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შიგნით, ისე - ქალაქებს შორის. გამონაკლისის სახით კომპანიებს აქვს უფლება M2 (მიკროავტობუსი) და M3 (ავტობუსი) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით, გადაიყვანოს მგზავრები.

დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებით (მათ შორის ტაქსებით) მგზავრობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია და ავტომობილში იქნება მხოლოდ 3 ადამიანი, მათ შორის, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი ადამიანი იქნება უკანა სავარძელზე. სატრანსპორტო საშუალებით სამზე მეტი პირის გადაადგილების შეზღუდვა არ ეხება კომპანიების მიერ M2 (მიკროავტობუსი) და M3 (ავტობუსი) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანას.

- იკრძალება 3-ზე მეტი პირის თავშეყრა, გარდა სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქებისა, სადაც სავალდებულოა დაცული იყოს 2 მეტრიანი სოციალური დისტანცია.
- საგანგებო მდგომარეობის ვადით ცხადდება თვითობრივად სრული კარანტინი. 21:00 საათიდან იკრძალება როგორც ქვეითად, ისე - სატრანსპორტო საშუალებით ქალაქებში და ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება დილის 06:00 საათამდე (კომენდანტის საათი). შეზღუდვა არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებისა და ამ დადგენილებით დაშვებული ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ პირებზე/ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა გადაადგილებაც კრიტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

Closer to you

- იკრძალება 70 წელს ზემოთ მოქალაქეების სახლიდან გასვლა, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ისინი მიდიან უახლოეს სასურსათო მაღაზიებში, უახლოეს ავთიაქსა ან უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში.
- ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ დროს ქალაქში გადაადგილებისას თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შენიშვნა: დაშვებულ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების პირებზე/ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე მოხდება საშვების გაცემა, რომლითაც მათ მიეცემათ საშუალება ე.წ. კომენდანტის საათის განმავლობაშიც მოახდინონ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. საშვების გაცემა მოხდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის/გამგეობის მიერ. უახლოეს მომავალში მიღებული იქნება შესაბამისი ნორმატიული აქტი და დაიწყება საშვების გაცემის პროცესი.

3. რა სანქციებია გათვალისწინებული არსებული შეზღუდვების დარღვევისთვის?

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს:

- ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ჯარიმას ფიზიკური პირებისათვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 15 000 ლარის ოდენობით.
- ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

16 წლამდე ასაკის პირის მიერ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება მის მშობელს ან ბავშვის სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

Closer to you

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ-სამართლებრივ რჩევად. მომზადების დრო არის 2020 წლის 02 აპრილი, 18:00 საათი.

კონტაქტი: დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით Nexia Ta-ს იურიდიული მიმართულების Nexia Ta Legal-ის წარმომადგენლებს:

გიორგი ავალიშვილი
მმართველი პარტნიორი
giorgi.avalishvili@nexia.ge

შოთა მახათაძე
უფროსი იურისტი
Shota.makhatadze@nexia.ge

ქეთევან ცუკილაშვილი
მმართველი პარტნიორის
თანაშემწე
ketevan.tsukilashvili@nexia.ge

Nexia TA საქართველო მომხმარებლებს სთავაზობს ინდივიდუალურ მიდგომას, მაღალკვალიფიკაციურ მომსახურებას საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებების სინთეზის მეშვეობით. კომპანია Nexia International-ის წევრ ქვეყნებს 2014 წლის მაისში შეუერთდა და ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსი მიენიჭა. Nexia International-ი საერთაშორისო აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიების ათეულში შემავალი ბრენდია, რომელიც ფოკუსირებულია სხვადასხვა ქვეყანაში მხარი დაუჭიროს ადგილობრივი ბიზნესის ზრდასა და განვითარებას და ამას ეფექტურად აკეთებს დაგროვილი ექსპერტიზითა და საერთაშორისო

Closer to you

ბაზრებზე არსებული უნიკალური გამოცდილებით. ის მსოფლიოს 122 ქვეყანაში ოპერირებს და 700-ზე მეტი ოფისით არის წარმოდგენილი.



Closer to you

Nexia TA | 12, Merab Aleksidze str. King David Business Centre, 6th floor | Tbilisi 0171, Georgia
T: +(995 32) 2242559 info@nexia.ge | www.nexia.ge